პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 სექტემბერი, შაბათი, 1987 წ.
№ 181 (9592) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



**ახლახან** ფოთში ჩატარდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება წყალსათხილამურო სპორტში. ამ სურათზე აღბეჭდილია საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი გენადი პეტრუხინი, რომელიც ურთულეს ილეთს — სალტოს ასრულებს. ამ შეჯიბრებისადმი მიძღვნილ მასალას იხილავთ მე-4 გვერდზე.

ИЗВЕСТИЯ
СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ СССР
Газета выходит с марта 1917 года

# დათვალიერება-კონკურსი „იზვესტიის“ პრიზზე

მშრომელთა და ახალგაზრდობის აქტიური დასვენების სრულყოფილი ორგანიზების პირობების შესაქმნელად მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე შრომითი კოლექტივების ძალისხმევის კონცენტრაციას მოითხოვს. იგი დიდად შეუწყობს ხელს ფიზიკური კულტურის ახალი, მეცნიერულად დამტკიცებული ფორმების დანერგვას და ყველაზე პოპულარული, მათ შორის ადგილობრივი და ეროვნული სახეობებისა და ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის შემდგომ განვითარებას.

ყველაფერ ამას ითვალისწინებს საკავშირო კონკურს-დათვალიერება გაზეთ „იზვესტიის“ ტრადიციულ პრიზზე. დათვალიერება ითვალისწინებს ქალაქებში, რაიონებში, სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უკეთ დაყენებას („მთელი ბრიგადით — სტადიონზე“, „სტარტზე — მთელი ოჯახით“ და ა. შ.).

გამარჯვებულთათვის დაწესებულია რედაქციის სპეციალური პრიზი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენამ დააწესა 300-300 მანეთი ფულადი პრემია; საკავშირო სპორტსახკომს გამარჯვებულთათვის გამოყოფილი აქვს სპორტული ინვენტარ-ტრენაჟორებისა და სხვა სპორტული აღჭურვილობის 8 კომპლექტი (10.000 მანეთის ღირებულებისა თითოეული), 500 ვიმპელი, ამდენივე დიპლომი და 1000 ცალი სამკერდე ნიშანი. საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის დადგენილებით, გაზეთ „იზვესტიის“ კონკურს-დათვალიერებაში მონაწილეობისათვის შეიქმნა რესპუბლიკური დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც უხელმძღვანელებს საქართველოში დათვალიერება-კონკურსის ჩატარებას.

საკავშირო დათვალიერება ქალაქებს, რაიონებსა და დასახლებულ ადგილებს შორის მოიცავს 1987-1990 წლების პერიოდს.

## ტელეტაიპი-მკითხველი

**პარიზი.** ევროპული თანამეგობრობის მრავალდღიანი საერთაშორისო ველორბოლის მერვე ეტაპი ფრანგმა ლორან ბეზომ მოიგო. ეს იყო ყველაზე მოკლე, 51 კილომეტრიანი ეტაპი, რომელიც გამარჯვებულმა 1:14.26-ში დაფარა. 8 წამით ჩამორჩა მას მეორე ფრანგი ველოსიპედისტი მარკ მადიო, და 20 წამით რიგელი პიოტრ უგრიუმოვი. ამ ეტაპის შემდეგ ლიდერთა სამეულში ცვლილებები მოხდა. პირველ ადგილზე ისევ მადიოა, მეორე ადგილზე კი ბეზო გადავიდა. ორი ადგილით წაიწია წინ უგრიუმოვმა, რომელსაც ახლა უკვე მესამე შედეგი აქვს.

**ლონდონი.** წყალსათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატზე ლიდერობა ხელთ იგდო დუბნელმა ნატალია რუმიანცევამ. მისი შედეგი ფიგურულ სრიალში 7.490 ქულაა. საბჭოთა სპორტსმენი უახლოეს მეტოქეს — ფრანგ ფრედერიკ სავენს თითქმის 1000 ქულას უგებს. ევროპის 1987 წლის ჩემპიონს მინსკელ მარინა მელიანჩიკს ჯერჯერობით მეოთხე შედეგი აქვს (5930 ქულა).

**კოლორადო-სპრინგსი.** ამერიკის ამ მაღალმთიანი კურორტის ველოტრეკზე წარმატებით ასპარეზობს ფრანგი ჟანი ლონგო. 3 კილომეტრზე რბოლაში წარმატების შემდეგ მან ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 6-კილომეტრიან დისტანციაზე — 6.14.813.

**ფრაიბურგი (გფრ).** 16 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთა მსოფლიო თასის ფინალურ ტურნირში წარმატებით ასპარეზობს ჩვენი ქვეყნის გოგონათა ნაკრები. მეოთხედფინალში მან ბულგარეთის გუნდი დაამარცხა (3:0) და ნახევარფინალში გავიდა. სხვა მატჩები დამთავრდა ასე: აშშ — შვეიცარია 2:1, გფრ — იტალია 3:0, ავსტრალია — არგენტინა 2:1. ჰაბუკთა ნახევარფინალურ ტურნირში გავიდნენ: შვეციის, ჰოლანდიის, ავსტრალიისა და საფრანგეთის ჩოგბურთელები.

**ვარნა.** გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. საგნით ვარჯიშში ორი ცდის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ევროპის აბსოლუტურმა ჩემპიონმა და შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, ბულგარელმა ბიანკა პანოვამ — 20 ქულა. მისი თანაგუნდელი ადრიანა დუნავსკაია მეორე ადგილზეა — 19,900. მესამე ადგილს ინაწილებენ ომსკელი ტატიანა დრუჩინინა და ელიზაბეტ კოლევა (ბულგარეთი). მათ 19,850 ქულა აქვთ (თითოეულს).

**ლატაკია.** ხმელთაშუაზღვის ქვეყნების X სპორტულ თამაშებში ჯერჯერობით წინ არიან იტალიელები. ექვსი დღის შემდეგ მათ 75 მედალი მიიღეს (37 ოქროს, 25 ვერცხლის, 13 ბრინჯაოსი). მეორე შედეგი ესპანელებს აქვთ — 37 (შესაბამისად 9,11,17), მესამე — ფრანგებს — 32 (6,14,12).



# გვინეელი სტუმარი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა გვინეის რესპუბლიკის სპორტული გაზეთის „ფონიკე სპორტისა“ და ჟურნალ „ფონიკე მაგაზინის“ მთავარი რედაქტორი და გამომცემლობის დირექტორი იბრაიმა კალილ დიარე. სტუმარს აპნ-ის საქართველოს განყოფილება მასპინძლობს. გუშინ იბრაიმა კალილ დიარემ დაათვალიერა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი. ესაუბრა ამ ბაზების ხელმძღვანელებს, გაეცნო მათი მუშაობის თავისებურებებს. შემდეგ გვინეელი სტუმარი რედაქციაში გვეწვია.

• • •

**სურათზე:** იბრაიმა კალილ დიარე ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში. სტუმარს ესაუბრება კომპლექსის დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი.

**დღეს, 19 სექტემბერს თბილისში, კიროვის სახელობის პარკის ტერიტორიაზე 20 საათზე საზეიმოდ გაიხსნება თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კალათბურთელთა სპეციალიზებული დარბაზი. საზეიმო გახსნის შემდეგ გაიმართება თბილისისა და მოსკოვის ვეტერან კალათბურთელთა მატჩი.**



# 26-27 სექტემბერი ფეხბურთის საკავშირო დღეა

## ამთავითვე ვემზადოთ ამ სადღესასწაულო დღეების ღირსეულად ჩასატარებლად

„**ფეხბურთის** დღე“ ჩვენში ახალი ხილი არ გახლავთ, უკვე რამდენიმე წელია საქართველოში რეგულარულად ვმართავთ ამ საერთოსახალხო თამაშის აღმნიშვნელ ზეიმს, ახლა კი სსრ კავშირის სახელმწიფო სპორტკომიტეტმა საგანგებო ბრძანებით დააწესა „ფეხბურთის დღის“ ჩატარება მთელი კავშირის მასშტაბით.

ფეხბურთის დღე საქართველოს ქალაქებში და რაიონებში, სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში აღინიშნება 26 და 27 სექტემბერს. ადგილობრივმა სპორტკომიტეტებმა სპორტსაზოგადოებათა საბჭოებთან და ფეხბურთის ფედერაციებთან ერთობლივად უნდა უზრუნველყონ, რათა „ფეხბურთის დღეს“ სადღესასწაულო ელფერი არ მოაკლდეს, ყველგან — სასწავლებლებში, სკოლებში, საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში, ყველგან, სადაც კი ფეხბურთი უყვართ, უნდა მოეწყოს მასობრივი შეჯიბრებები, საინტერესო ღონისძიებანი, მინი-ფეხბურთის მატჩები, უნდა გაიმართოს სხვადასხვა თაობის ფეხბურთელთა შეხვედრები, კინოთეატრებში მოეწყოს საფეხბურთო თემაზე შექმნილი ფილმების ჩვენება, ნორჩმა ფეხბურთელებმა ხალისი და ენთუზიაზმი უნდა შეიტანონ სადღესასწაულო დღეებში, შეიძლება საგანგებო პლაკატების, ტრანსპარანტების, კედლის გაზეთების გამოშვება.

ბევრი რამ დამოკიდებულია ადგილობრივი ენთუზიასტებისა და გულშემატკივრების ინიციატივაზე და ცაზრიანობაზე, შეიძლება ბევრი საინტერესო ღონისძიების განხორციელება, მთავარია დიდმა თუ პატარამ ხალისიანად, შინაარსიანად აღნიშნოს ეს საყოველთაო საფეხბურთო დღეები.

აქედანვე უნდა ვემზადოთ ფეხბურთის დიდი ზეიმისთვის, იგი მშრომელთა და ნორჩთა აქტიური დასვენებისა და გართობის სტიმულად უნდა იქცეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისათვის

# ქართველ სპორტსმენთა გალერეა ილიასეულ პრესაში

## 6. და დატრიალდა ფუთიანი მუშტები...

(ქალაქელი მოკრივეები)

„ოთხშაბათ-ხუთშაბათია, მუშტი-კრივები იმართება სხვა და სხვა მოედნებზე: სალაყბოზე, მოღნინის მოედანზე, პურის მოედანზე, სეიდაბადში, კოლო-უბანში, კლდის-უბანში, ჯვარი-მამასთან... სიონს ზემო და ქვემო უბნები ორად გაიყოფიან. აბა, მუშტი-კრივი ეს იქნება... რამდენი გვერდი გასწორდება, რამდენი ლოყა გასკდება, რამდენი ხელი დასისხლიანდება; მაგრამ რა ექნათ, ვაკეზე სიარულშიც ბევრჯერ კაცს ფეხი მოსტეხია და კისერიცა. ლხინია. მკლავებს მუშაობა უნდა, ვარჯიში, გიმნასტიკა უნდა.

გახურდა ხალხი, შეუტია ერთმა უბანმა მეორეს და გაიგდო წინა; მეორე ველარ დასდგომია და კრივში ქვას ურევს, მოდის სეტყვასავით, მაგრამ ვინ შედგება, თავი აღარავის ახსოვს. მოთავე ცხენით ხან აქეთ და ხან იქით უვლის და აქეზებს თავის უბნის ბიჭებსა: „აბა, თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, ცოტაც, ცოტაც და ლეჩაქს დავხურავთ თავზე“. მიდის გულ-ხეთქებით და ბოლოს წყნარდება დამარცხებული უბანი“.

„დროება“, 1880, № 49.

„გუშინ-წინ, 27 აპრილს, ქალაქის ბიჭებმა ძველებური კრივი გამართეს არსენალის ხევში. ორ რაზმად გაიყვნენ — ზემო და ქვემო უბნად. ჯერ პატარებს დაეწყებინეს, 10-12 წლის ყმაწვილებს დიდების გასამხნევებლად და შემდეგ დიდებიც გაუმკლავდნენ ერთმანეთს. ხან ერთი უბანი სძლევდა, ხან მეორე. ზემოუბნელებს შეადგენდნენ: შუა-ბაზრიდგან დაწყებული, სოლოლაკელები, მთაწმინდელები, ვარეთ უბნელები და ვერელები, და ქვემოუბნელებს: ავლაბარი, კუკია და ჩუღურეთი. კრივი სამ საათზედ დაიწყო და ხუთზედ დაიშალა“.

„ივერია“, 1886, № 92.

„ამ ჩვენს თელავში ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ ძველი ჩვეულება და ყველა კვირა-უქმე დღეს იმართება მუშტი-კრივი. აქაური ყმაწვილ-ბიჭობა ნასადილევს ორი საათიდან დაწყებული ეკრივება ერთმანეთს რომელსამე დანიშნულს ადგილს. პირველად კრივი, როგორც სხვა სამხედრო საქმე, იწყება პატარებით; მაგრამ დამარცხებულ მხარეს მიეშველებიან იმათზე მოზრდილები და ბოლოს ცოლშვილიანი კაცებიც მიიღებენ ხოლმე მონაწილეობას... ბრძოლა გრძელდება ორი ანუ სამი საათი და გათავდება მხოლოდ დაბნელების მიზეზით, ისიც მაშინ, როცა ერთი პარტია მოკრივე ველარ გაარჩევს თავის მოწინააღმდეგეს და იმის ნაცვლად თავის მომხრეს უთავაზებენ მაგარ მუშტებსა. კრივის დროს თელავის ხალხი იყოფა ორ ნაწილად: ერთს პარტია შეადგენენ რიყიდგან აღმოსავლეთის მცხოვრებნი და მეორეს — დასავლეთისანი. ომის დაწვრილებითი ამბავი შეიტყობა მეორე დღეს. გამარჯვება უფრო ხშირად აღმოსავლეთის პარტიას ეკუთვნის... ხშირად დამარცხებულ მხარეს უკანასკნელ ღონისძიებად რჩება ქვის სროლა... მე თითონ ვიცნობ რამდენსამე თელაველს კრივის მიზეზით გაცალთვალებულს და გაცალფეხებულს. ქვის სროლაში სახლებსაც ეძლევათ ზარალი: მინები გადმოდის ძირს საამურის ჟღრიალით“.

„დროება“, 1878, № 26.

ილიასეულ გაზეთებში „დროებასა“ და „ივერიაში“ ბევრი იბეჭდებოდა ქ. გორში ჩატარებულ კრივზე. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ არც გორის, არც თელავისა და არც თბილისის მოკრივეთაგან არცერთის გვარი არაა მოხსენიებული, მცირე გამონაკლისის გარდა. აი, ერთი ასეთი გამონაკლისი:

„23 ქრისტეშობისთვეს, კვირას, იარმუკა ჩვეულებრივ ხალხით იყო გაჭედილი (შემდეგ აღწერილია, თუ როგორ აიწყვიტა ერთმა გაგიჟებულმა ხარმა და ბაზარში მყოფთ დიდი საფრთხე შეექმნათ, ა. ც.). ამ გაცეცხლებულ ხეთქვა-ყიჟინაში ერთმა რაჭველმა მეპურემ, წინათ ქალაქში განთქმულმა მოკრივემ, ფარსადან სოლომონის ძე სხირტლაძემ, რომელსაც გაგიჟებულმა ხარმა ტანისამოსი ჩამოაფხრიწა და სხვა ზარალიც მისცა, დიდის გამბედაობით გასწირა თავი, ეცა ხარს, მოუგრიხა კისერი და წააქცია. მაშინ კი სხვებიც მოცვივდნენ, შეჰკრეს ხარი, დასდეს ურემზედ და წაიღეს... ამ სახით ღონემ და გამბედაობამ სხირტლაძისამ, უეჭველია, დაიხსნა მრავალი ხალხი აუცილებელის უბედურებისაგან“.

„ივერია“, 1891, № 4.

ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის დამუშავების საფუძველზე, პირველ რიგში კი თვითმხილველთა მოგონებების მიხედვით, ჩვენ შევძელით ზოგიერთი თბილისელი მოკრივის ვინაობის (უმეტეს შემთხვევაში — ზედმეტი სახელების) დადგენა. აი, ისინიც: ვერელი შიბაია, ეშტრია კუკიელი, პანტაკუშაია, იაგორა დურგალი, მთაწმინდელი მეჩეჩე ცხრაფეხაანთ სტეპკუა, ქაჩალ სტეფანე, ლორ-კოლა, გამხდარი სიმონა გოცირიძე, ჰონი კვინიხა, ჩუღურეთელი თეთრახალუხა, მთაწმინდელი კომბუჩ, ვიქმიხაკა, ასასი ბუქუქა, კუკიელი ვირიცოხნაშვილი, დანგრ სოლომონიშვილი, ლოხოშა ავლაბრელი, სირქია კოლა, ბატია, ვანო წავკისელი, ლეჩენძაანთ ავეტიკა ლენჩიშვილი, წითელფუფაიკა კოლა, მეჩანგლე ლოპიანა, თოქმახი გულზა, გიჟუა, ბოშ-ოჰანეზა, განჯელი ალია, ფარქასტუ კოლა, ქარაფ ქანდოლა (კლდის მნგრეველი) და სხვანი.

ამათგან ვიცით მხოლოდ, რომ სიმონა გოცირიძე არჩილ მუხრანბატონის ფალავანი ყოფილა, მეჩანგლე ლოპიანა — გრ. ორბელიანისა, გიჟუა — გენერალ ბებუთოვისა, ვანო წავკისელი კი, როგორც ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა დავით ფეიქრიშვილმა გამოიკვლია, მისი გვარი პროუტიდან გადმოსახლებულა წავკისში.

ავთანდილ ციბაძე.

ლახტის წრეში

# ვინ გვეტყვის სიმართლეს?

მთამსვლელობა, მოგეხსენებათ, სპორტის ის ერთ-ერთი უიშვიათესი სახეობაა, რომელსაც მაყურებელი არ ჰყავს. ნაკლი ერთგვარად უნდა შეავსონ ჟურნალისტებმა, ფოტორეპორტიორებმა, კინოდოკუმენტალისტებმა, მაგრამ უიშვიათესი გამონაკლისის გარდა არც ეს ხერხდება, რადგან ამ პროფესიების ხალხს ალპინისტური გამოცდილება არა აქვს. არც თავად მთამსვლელთა შორის არიან, უფრო სწორად, ძალზე იშვიათად არიან ჟურნალისტები, ფოტორეპორტიორები და კინოდოკუმენტალისტები.

საბედნიეროდ, ჩვენს რედაქციას ჰყავს თანამშრომელი, ჟურნალისტი, რომელიც თანრიგოსანი მთამსვლელია. მას ფოტორეპორტიორის გამოცდილებაც აქვს და ალპინისტურ თემაზე მისი ნარკვევები თუ ფოტორეპორტაჟები ხშირად იბეჭდება „ლელოს“ და არა მხოლოდ „ლელოს“ ფურცლებზე.

მოგეხსენებათ, ახლა, დიდი ილიას დაბადების 150 წლისთავისთვის სამზადისის დღეებში, გაზეთები ადგილს არ იშურებენ ამ თარიღის აღსანიშნავად. გამონაკლისი არც „ლელოა“. ამ თარიღის აღსანიშნავად ახლახან ყაზბეგის რაიონში გაემგზავრნენ საქართველოს სპორტსახკომისა და საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის მიერ ორგანიზებული მასობრივი ალპინიადის მონაწილენი, რომლებსაც ილია ჭავჭავაძის სახელობის მწვერვალზე ასვლა ჰქონდათ დაგეგმილი. ბუნებრივია, ამით ჩვენი რედაქციაც დაინტერესდა, მაგრამ საქართველოს ალპიური კლუბის დირექტორმა ნოდარ კანკავამ, რომელიც, ამავე დროს, საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელიცაა ალპინიზმში, „ლელოს“ თანამშრომელს ალპინიადაში მონაწილეობის მიღებაზე ცივი უარი სტკიცა. ეს უარი მან იმით ახსნა, თითქოს „ლელოს“ თანამშრომელი ამ სფეროში კომპეტენტური არ არისო. არადა, ის ჩვენი თანამშრომელი, ჟურნალისტი, როგორც ვთქვით, თანრიგოსანი მთამსვლელია, ფოტოსურათებსაც იღებს და მწვერვალზე ასასვლელად ჯანმრთელობაც ხელს უწყობს.

სხვათა შორის, იმ ჩვენს თანამშრომელს საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის ტრადიციულ საერთაშორისო ფოტო-კინოკონკურსზე პრემიებიც დაუმსახურებია.

ისე კი, რა თქმა უნდა, მჯობნის მჯობნი არ დაილევა. წერა და ფოტოგადაღება არც თავად მთამსვლელებისთვის აუკრძალავს ვინმეს. ამას რომ ვამბობთ, ერთი ამასწინანდელი ამბავი გვახსენდება — რედაქციაში პამირის ექსპედიციის მონაწილენი, საქართველოს მთამსვლელთა ნაკრების წევრები მირიან სერებრიაკოვი და გელა სულიკაშვილი გვეწვივნენ. უნდოდათ ლენინის პიკზე ექსპედიციის წევრთა ასვლის შესახებ „ლელოში“ წერილი გამოქვეყნებულიყო. დაგვპირდნენ, წერილს ჩვენ დავწერთ და ფოტოსურათებსაც მოვიტანთო. ჩვენ ვთხოვეთ, მკითხველისთვის ისიც ეთქვათ, რას ისახავდნენ მიზნად და რას მიაღწიეს, მაგრამ აღარც წერილი ჩანს და აღარც ამბის მომტანი...



# უმასპინძლებს თბილისი

ხანმოკლე შესვენების შემდეგ (გამოწვეული იყო „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე საერთაშორისო ტურნირის გამო) განახლდა საკავშირო ჩემპიონატი.

გათამაშების ლიდერმა ქუთაისის „მშენებელმა“ მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა კრასნოიარსკში „ექსკავატორტიაჟსტროისთან“ — 6:4. გაიმარჯვა ქუთაისელთა უახლოესმა მდევარმაც — სამხედრო საჰაერო აკადემიის გუნდმა: მონინოელებმა ალმა-ათაში სძლიეს იქაურ არმიელებს — 21:15. მოსკოვის „სლავამ“ დაამარცხა კიევის „ავიატორი“ — 6:3.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „მშენებელი“ | 27 | 19 | 1 | 7 | 66 |
| სსა (მონინო) | 27 | 16 | 5 | 6 | 64 |
| „სლავა“ (მ.) | 27 | 16 | 2 | 9 | 61 |
| „ავიატორი“ | 27 | 16 | 2 | 9 | 61 |
| ასკ (ალმა-ათა) | 27 | 14 | 4 | 9 | 59 |
| „ეტს“ (კრასნ.) | 27 | 13 | 2 | 12 | 55 |

მეორე ექვსეულში მოასპარეზე თბილისის გუნდების შეხვედრა დამთავრდა რკინიგზელთა გამარჯვებით — 9:4. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ სტუმრად სძლია ლენინგრადის „პრიმორეცს“ —34:9.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკ.“ (მ.) | 27 | 16 | 2 | 9 | 61 | (—20) |
| „ფილი“ (მ.) | 26 | 13 | 4 | 9 | 56 | (—22) |
| „ელ.“ (ტირ.) | 25 | 8 | 1 | 16 | 42 | (—33) |
| „ელმავალი“ | 27 | 7 | 1 | 19 | 42 | (—39) |
| „პრიმ.“ (ლ.) | 27 | 7 | 0 | 20 | 41 | (—40) |
| „შევარდ.“ | 26 | 3 | 0 | 23 | 32 | (—46) |

28-ე ტურში, რომელიც 19 და 20 სექტემბერს გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან „სლავა“ — სსა, ასკ — „მშენებელი“, „ეტს“ — „ავიატორი“, „შევარდენი“ —„ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „პრიმორეცი“ — „ფილი“, „ელექტრომაში“ (ტირასპოლი) — „ელმავალი“.

რაც შეეხება „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის გათამაშებას, როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა კავშირის პირველმა ნაკრებმა. დასკვნით ტურში საბჭოთა რეგბისტებმა რუმინეთის ახალგაზრდულ გუნდს სძლიეს — 7:0. საგულისხმოა, რომ სწორედ ეს ორი გუნდი შეხვდა ერთმანეთს შეჯიბრების დღეებში „ფილის“ სტადიონზე მოწყობილი „სევენსის“ (შვიდკაციანი რეგბი დიდ მოედანზე) ერთდღიანი ტურნირის ფინალშიც: მაშინაც საბჭოთა რეგბისტებმა იმარჯვეს — 19:16 და ჯილდოდ ქუთაისელ რეგბის მოყვარულთა მიერ ტურნირის ორგანიზატორებისათვის მირთმეული ბროლის ოვალური ბურთი მიიღეს. რაც შეეხება „ძირითადი“ ტურნირის ჯილდოს, ისიც ქართველ მხატვართა ნახელავია, მის დასამზადებლად საჭირო თანხა თბილისელმა ოსტატმა რეგბისტებმა ზაფხულში ბავშვთა პოლიკლინიკისა და რკინიგზის სადგურის მშენებლობაზე გამოიმუშავეს. ეს ფაქტი გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმაც“ აღნიშნა.

გაისად, სექტემბერში „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის გათამაშებას თბილისი უმასპინძლებს. რეგბის საკავშირო ფედერაციისა და საკავშირო სპორტსახკომის რეგბის განყოფილების ხელმძღვანელები თავიანთ არჩევანს ჩვენს რესპუბლიკაში რეგბის ტრადიციული პოპულარობითა და თბილისში თანამედროვე სავარჯიშო და საასპარეზო პირობების არსებობით ხსნიან. როგორც ტურნირის ორგანიზატორები ვარაუდობენ, თბილისში საასპარეზოდ თავიანთ წარმომადგენლებს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზიმბაბვეს რეგბის კავშირებიც გამოგზავნიან.

საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება კალათბურთში

# თასის მფლობელი დამარცხდა

მილანი. კალათბურთელ ვაჟთა საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების მეორე ტურში კიდევ სამი შეხვედრა გაიმართა. ცენტრალური მატჩი ამ პრიზის მფლობელის კაუნასის „ჟალგირისისა“ და სან-პაულუს (ბრაზილია) „მონტე ლიბანოს“ ორთაბრძოლა იყო. ლიტველმა კალათბურთელებმა პირველი ტაიმი დიდი ალმაცლობით ჩაატარეს, შესვენების შემდეგ კი ინიციატივა ბრაზილიელთა მხარეს გადავიდა. განსაკუთრებით ეფექტურად მოქმედებდნენ ისინი ფარქვეშ. „ჟალგირისს“ უსაბონისოდ გაუჭირდა მეტოქის ტანმაღალი ცენტრალური თავდამსხმელების უვნებელყოფა. კაუნასელებს ვერც მარჩიულენისის ოსტატობამ უშველა. ბრაზილიელებმა გაიმარჯვეს — 109:90 (43:50).

ამავე ჯგუფის ზაგრების „ციბონასა“ და ტელ-ავივის „მაკაბის“ შეხვედრაში, იუგოსლავიელებს აკლდათ საუკეთესო კალათბურთელები (ალექსანდრე პეტროვიჩი, უშიჩი, კნეგო, ნაკიჩი), რომლებიც ამჟამად იტალიისა და ესპანეთის ჩემპიონატებში გამოდიან. მაგრამ ახალგაზრდებმა საკმაოდ მაღალი ოსტატობა გამოავლინეს და მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 101:83 (45:31). მატჩის საუკეთესო სნაიპერი იყო დრაჟენ პეტროვიჩი, რომელმაც თავის კოლექტივს 49 ქულა შესძინა.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის გუნდს ტურნირის დაწყებამდე „ყველა ვარსკვლავი“ ერქვა. მაგრამ „ბარსელონასთან“ პირველ ტურში დამარცხების შემდეგ მას სახელი გადაარქვეს და ახლა „პეკერსად“ იწოდება. ამერიკელ კალათბურთელებს სახელწოდების შეცვლამ, ცხადია, ვერ უშველა. მეორე დამარცხება მათ ბუენოს-აირესის „ფერო კარილთან“ შეხვედრაში განიცადეს — 87:93 (44:46) და ნახევარფინალში გასვლის პრაქტიკული შანსი დაჰკარგეს.

მესამე ტურში კაუნასის „ჟალგირისი“ ტელ-ავივის „მაკაბისთან“ დამარცხდა — 107:109 (53:61) და ნახევარფინალში გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგა. ამ მატჩში მარჩიულენისმა გუნდს 41 ქულა შესძინა, კურტინაიტისმა — 29.

ზაგრების „ციბონამ“ მეორე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან სან-პაულუს — „მონტე ლიბანო“ დაამარცხა—97:87. მატჩის საუკეთესო სნაიპერი ისევ დრაჟენ პეტროვიჩი იყო — 35 ქულა.

ნახევარფინალში ბრძოლას გააგრძელებს ესპანეთის „ბარსელონაც“, რომელმაც ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი მილანის „ტრეისერი“ მისსავე გულშემატკივრების თვალწინ დაამარცხა — 102:91.

გუნდების სატურნირო მდგომარეობა დღეისთვის ასეთია:

### პირველი ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ბარსელონა“ (ბარსელონა) | 2 | 2 | 0 | 223-194 | 4 |
| „ტრეისერი“ (მილანი) | 2 | 1 | 1 | 190-179 | 2 |
| „ფერო კარილი“ (ბუენოს-აირესი) | 2 | 1 | 1 | 170-186 | 2 |
| „პეკერსი“ (ვაშინგტონი) | 2 | 0 | 2 | 190-214 | 0 |

### მეორე ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ციბონა“ (ზაგრები) | 2 | 2 | 0 | 198-170 | 4 |
| „მაკაბი“ (ტელ-ავივი) | 3 | 2 | 1 | 284-280 | 4 |
| „მონტე ლიბანო“ (სან-პაულუ) | 3 | 1 | 2 | 268-279 | 2 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 2 | 0 | 2 | 197-218 | 0 |

# უბანი უბანს ეჯიბრება



**დღეს და ხვალ თბილისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს ქალაქის პირველობას მინიფეხბურთში უბნებს შორის.**

გთავაზობთ 19 და 20 სექტემბრის შეხვედრათა კალენდარს:

**19 სექტემბერი, შაბათი:** 12 საათი. „ვერა“ — „ორხევი“; 13 ს. 15 წთ. „საბურთალო“-2 — „გლდანი“; 15 ს. 45 წთ. „ისანი“ — „ოქროსუბანი“; 17 ს. „დიღომი“ — „წყნეთი“; 18 ს. 15 წთ. „რუსთაველი“—„ვეძისი“. „ვაკე“-1-სა და „სანზონის“ მატჩი გადატანილია 27 სექტემბრისათვის. **20 სექტემბერი, კვირა:** 12 ს. „დიდუბე“ — „მთაწმინდა“; 13 ს. 15 წთ. „დიმიტროვის დასახლება“ — „სვანეთის უბანი“; 14 ს. 30 წთ. „საბურთალო“-1 — „ნაძალადევი“; 15 ს. 45 წთ. „ორთაჭალა“ — „მუხიანი“; 17 ს. „სოლოლაკი“ — „თემქა“; 18 ს. 15 წთ. „ვაკე“-2 — „პლეხანოვი“.

# დიდი ფეხბურთის დღე ევროპაში

15, 16 და 17 სექტემბერს ევროპის ქალაქებში გაიმართა კონტინენტის 1987-88 წლების საკლუბო გათამაშებათა პირველი ტურის სასტარტო მატჩები.

ეს მეტად პოპულარული შეჯიბრება მუდამ დიდ ინტერესს იწვევს, ასე იყო ამჯერადაც, ევროპის ჩემპიონთა თასზე, თასების მფლობელთა თასზე და უეფა-ს თასზე მეტად დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა, ასპარეზობაში მონაწილე 6 საბჭოთა კლუბიდან შინ თუ სტუმრად წარმატებას მიაღწია ხუთმა გუნდმა, წააგო მხოლოდ თბილისის „დინამომ", მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში იყო ჩემპიონთა თასის მატჩი კიევში ადგილობრივ „დინამოსა" და შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსს" შორის. ჯერ ერთი, ჩემპიონთა ტურნირი ყველაზე პრესტიჟულია, გარდა ამისა, ორივე გუნდი ცნობილია საერთაშორისო ფეხბურთში, მათი დაწყვილება პირველივე წრეში ნიშნავდა ერთ-ერთი ფავორიტის სტარტზევე გამოთიშვას. მატჩი მართლაც ძალზე დაძაბულად წარიმართა, კიეველებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0 (გოლი 74-ე წუთზე 11-მეტრიანით გაიტანა მიხაილიჩენკომ), მაგრამ ეს მინიმალური ანგარიში გარკვეული სირთულეების წინაშე აყენებს კიეველთა კოლექტივს, რომელმაც საპასუხო მატჩში 30 სექტემბერს შოტლანდიის დედაქალაქში ძალზე ძნელი ამოცანა უნდა გადაწყვიტოს. ამ მატჩში გააფრთხილეს კიეველი ევსეევი.

თასების მფლობელთა თასზე მინსკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და თურქეთის ქალაქ ანკარის „გენჩლერბირლიგი". მინსკელებმა დიდი ალმავლობით ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0, პირველი გოლი მინსკელმა ზიგმანტოვიჩმა გაიტანა 83-ე წუთზე, შემდეგ კი ანკარელთა მცველმა მეთინმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

უეფა-ს თასზე მოსკოვის „სპარტაკმა" ლუჟნიკის სტადიონზე მიიღო დრეზდენის „დინამო" (გდრ) და დამაჯერებელი ანგარიშით გაიმარჯვა — 3:0, 2 ბურთი გაიტანა მოსტოვოიმ, ერთი — ჩერენკოვმა.

წარმატებით ითამაშეს ლენინგრადის „ზენიტის" ფეხბურთელებმაც, რომლებმაც ბელგიის „ბრიუგეს" ძლიერ გუნდთან შინ გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. „ზენიტი" წლევანდელ სეზონში ერთობ მარცხიანად გამოდის, მაგრამ გუნდმა ამჯერად შეძლო მობილიზება და გამარჯვებასაც მიაღწია. ბურთები გაიტანეს ჩუხლოვმა და ჟელუდკოვმა. გააფრთხილეს „ზენიტის" ფეხბურთელი ტიმოფეევი.

სტუმრად მოუწიათ თამაში მოსკოვისა და თბილისის დინამოელებს. მოსკოველებმა შვეიცარიის ქალაქ ციურიხის „ჰარდტურმის" სტადიონზე მაქსიმალური შესაძლებლობით ითამაშეს „გრასჰოპერსთან" და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0, რაც მათ საპასუხო მატჩისთვის საუკეთესო პერსპექტივას უქმნის. თავი გამოიჩინა დინამოელმა ბოროდიუკმა, რომელმაც 3 ბურთი გაიტანა (ერთი პენალტით) მასპინძელთა კარში, მეოთხე გოლის ავტორია კარატაევი. გააფრთხილეს მოსკოველი დობროვოლსკი.

ახლა თბილისის „დინამოსა" და სოფიის „ლოკომოტივის" მატჩის შესახებ, რომელიც ბულგარეთის დედაქალაქში შედგა ვასილ ლევსკის სახელობის სტადიონზე. ეს მატჩი 16 სექტემბრის ნაცვლად 17 სექტემბერს გაიმართა იმის გამო, რომ სოფიაში შედგა თასების მფლობელთა თასის მატჩი ადგილობრივ „ვიტოშასა" და საბერძნეთის ოფი-ს შორის.

ამ ფრიად საპასუხისმგებლო მატჩს მოუთმენლად ველოდით თბილისის „დინამოს" ქომაგები. ჩვენი გუნდი წლეულს საკმაოდ მარცხიანად გამოდის საკავშირო ჩემპიონატში, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საჭირო შეიქმნა გუნდის ხელმძღვანელობის მთლიანი შეცვლა, უშუალოდ ძირითადი შემადგენლობის რეკონსტრუქცია, ჯერ კიდევ მწვავედ დგას უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების პრობლემა. ამიტომ საერთაშორისო ოფიციალურ მატჩში ჩვენს გუნდს ყველაფერი უნდა გაეკეთებინა წარმატების მისაღწევად.

შეიძლება ითქვას, რომ დინამოელებმა სოფიაში აქტიურად, დიდი მონდომებით, მობილიზებით ითამაშეს. მართალია, „ლოკომოტივი" მასპინძლის კვალობაზე მატჩის გარკვეულ პერიოდებში ინიციატივას ფლობდა და მწვავე მომენტებსაც ქმნიდა, მაგრამ ხშირი კონტრიერიშების დროს დინამოელებიც არანაკლებ სახიფათოდ მოქმედებდნენ, ბულგარელთა მეკარე ნიკოლოვს საკმარისზე მეტი ჰქონდა სამუშაო, მაგრამ მატჩის შედეგი უმთავრესად განაპირობა იუგოსლაველი არბიტრის ვ. ვუიოვიჩის აშკარა არაობიექტურობამ. მატჩის მსვლელობა ტელევიზიით ყველამ ვნახეთ და გარკვეული შთაბეჭდილება შეგვექმნა ძალთა თანაფარდობაზე, შეიძლებოდა თამაში ფრედ დაგვემთავრებინა, ან წაგვეგო კიდევაც, მაგრამ შეხვედრის საბოლოო შედეგზე გარკვეული გავლენა მოახდინა ვ. ვუიოვიჩის მიერ 11-მეტრიანების არასწორმა ფიქსაციამ. შეიძლება ვიდავოთ იმაზე, სწორი იყო თუ არა ვ. ვუიოვიჩი, როცა თამაშის 45-ე წუთზე კარიდან გამოსული გაბელია შეეჯახ ბულგარელთა ერთ-ერთ მოიერიშე ფეხბურთელს და არბიტრმა წამსვე 11-მეტრიანი დანიშნა, დინამოელის თამაში ვ. ვუიოვიჩმა უხეშობად მიიჩნია და პენალტის წერტილისკენ მიუთითა. 50-ე წუთზე თბილისის „დინამოს" საჯარიმო მოედანთან კვლავ მოთამაშეთა შეტაკება მოხდა და ვ. ვუიოვიჩმა ამჯერადაც უყოყმანოდ გამოიტანა სასჯელის უმაღლესი ზომის გადაწყვეტილება. ამ შემთხვევებში იგი საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედებდა და 11-მეტრიანების დანიშვნაც მხოლოდ მისი კომპეტენციაა, ამაში სხვა ვერავინ ჩაერევა. მაგრამ ამ ორი პენალტის შემდეგ კი „ლოკომოტივის" საჯარიმო მოედანზე ბულგარელთა მცველმა ისეთი დაუშვებელი ხერხით წააქცია მეკარესთან პირისპირ გასული კორღალიძე, თანაც წააქცია უკნიდან, რომ წინა ორი 11-მეტრიანის უაპელაციოდ დამნიშვნელს საყოყმანო არაფერი უნდა ჰქონოდა. და ვ. ვუიოვიჩსაც არ უყოყმანია, ისე აჩვენა აშკარა ჟესტით, რომ... პენალტის დანიშვნას დამნაშავეთა კარში არ აპირებდა და თამაშის გაგრძელება გადაწყვიტა. ეს იყო არბიტრის უხეში შეცდომა.

ჩვენი შეხედულება ერთსულოვანი და კატეგორიული „ლოკომოტივის" საჯარიმო მოედანზე უკანონო დარღვევა მოხდა, 11-მეტრიანიც ეჭვს არავისში არ იწვევდა თვით ვ. ვუიოვიჩის გარდა. მან კი, სრულიად გაუგებარი მიზეზით, დუმილი არჩია.

ფრიად დასანანია, რომ ყველაფერი ამის შემდეგ თბილისის „დინამომ" ეს პირველი მატჩი წააგო და რაკი ბულგარელებმა 81-ე წუთზე კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე სავსებით კანონზომიერად, მესამე ბურთის გატანა შეძლეს, ჩვენი გუნდი მეტად სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა საპასუხო მატჩისთვის.

თბილისის „დინამომ" უეფა-ს თასის საპასუხო შეხვედრა შინ უნდა ჩაატაროს ბულგარელ ფეხბურთელებთან. ჩვენი გუნდის ყველა გულშემატკივრის სახელით იმედს გამოვთქვამთ, რომ დინამოელები ყველაფერს იღონებენ ამ სავსებით დაუმსახურებელი წაგების სარევანშოდ.

თბილისის „დინამომ" სოფიაში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **გაბელია**, ცვეიბა, ჩივაძე, ჰედია, არზიანი, კორღალიძე, სვანაძე (გურული, 62), სულაქველიძე, რევიშვილი, ფანცულაია, შენგელია.

## ჩემპიონთა თასი

**მეთექვსმეტედფინალი.**

**პირველი ტური**

**„დინამო" (კიევი, სსრკ) — „გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია) 1:0.**

„ბორდო" (საფრანგეთი) — „დინამო" (ბერლინი, გდრ) 2:0.

„რაპიდი" (ავსტრია) — „ჰამრუნ სპარტანსი" (მალტა) 6:0.

„პორტუ" (პორტუგალია) — „ვარდარი" (იუგოსლავია) 3:0.

„მალმიო" (შვეცია) — „ანდერლეხტი" (ბელგია) 0:1.

„ბენფიკა" (პორტუგალია) — „პარტიზანი" (ალბანეთი) 4:0.

„ბაიერნი" (გფრ) — „სრედეცი" (ბულგარეთი) 4:0.

„სტიაუა" (რუმინეთი) — მტკ (უნგრეთი) 4:0.

„ფრამი" (ისლანდია) — „სპარტა" (ჩეხოსლოვაკია) 0:2.

„ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) — „გალათასარაი" (თურქეთი) 3:0.

„ქსამაქსი" (შვეიცარია) — „კუუსიუსი" (ფინეთი) 5:0.

„რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — „ნაპოლი" (იტალია) 2:0.

„ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) — „გურნიკი" (პოლონეთი) 1:1.

„ორჰუსი" (დანია) — „ჟიონესი" (ლუქსემბურგი) 4:1.

„ლილესტრიომი" (ნორვეგია) — „ლინფილდი" (ჩრ. ირლანდია) 1:1.

„შემროკ როვერსი" (ირლანდია)— „ომონია" (კიპროსი) 0:1.

„სენტ-მირენი" (შოტლანდია) — „ტრომსიო" (ნორვეგია) 1:0.

„მერფირ ტიუდფილი" (უელსი) — „ატალანტა" (იტალია) 2:1.

„ვიტოშა" (ბულგარეთი) — ოფი (საბერძნეთი) 1:0.

## თასების თასი

**წინასწარი წრე**

„აელ" (კიპროსი) — **„დუნაისკა" (ჩეხოსლოვაკია) 0:1, 1:5.**

**მეთექვსმეტედფინალი.**

**პირველი ტური.**

**„დინამო" (მინსკი, სსრკ) — „გენჩლერბირლიგი" (თურქეთი) 2:0.**

„მეჰელენი" (ბელგია) — „დინამო" (რუმინეთი) 1:0.

„ავენირი" (ლუქსემბურგი) — „ჰამბურგი" (გფრ) 0:5.

„ლოკომოტივი" (გდრ) — „მარსელი" (საფრანგეთი) 0:0.

„ოლბორგი" (დანია) — „ჰაიდუკი" (იუგოსლავია) 1:0.

„აიაქსი" (ჰოლანდია) — „დანდალკი" (ირლანდია) 4:0.

„რეალი" (სან-სებასტიანი, ესპანეთი) — „შლიონსკი" (პოლონეთი) 0:0.

„სპორტინგი" (პორტუგალია) — „სვაროვსკი-ტიროლი" (ავსტრია) 4:0.

„როვანიემი" (ფინეთი) — „გლენტორანი" (ჩრ. ირლანდია) 0:0.

„ვლაზნია შკოდრა" (ალბანეთი) — „შლიემა უონდერერსი" (მალტა) 2:0.

„დუნაისკა" (ჩეხოსლოვაკია) — „იანგ ბოიზი" (შვეიცარია) 2:1.

„აკრანესი" (ისლანდია) — „კალმარი" (შვეცია) 0:0.

„დოზ ∙ უიპეშტი" (უნგრეთი) — „ჰააგა" (ჰოლანდია) 1:0.

## უეფა-ს თასი

**ოცდათორმეტედფინალი.**

**პირველი ტური**

**„სპარტაკი" (მოსკოვი, სსრკ) — „დინამო" (დრეზდენი, გდრ) 3:0.**

**„ლოკომოტივი" (სოფია, ბულგარეთი) — „დინამო" (თბილისი, სსრკ) 3:1.**

**„ზენიტი" (ლენინგრადი, სსრკ) — „ბრიუგე" (ბელგია) 2:0.**

**„გრასჰოპერსი" (შვეიცარია) — „დინამო" (მოსკოვი, სსრკ) 0:4.**

„ბოჰემიანსი" (ირლანდია) — „აბერდინი" (შოტლანდია) 0:0.

„ბარსელონა" (ესპანეთი) — „ბელენენსეში" (პორტუგალია) 2:0.

„ლინცერი" (ავსტრია) — „უტრეჰტი" (ჰოლანდია) 0:0.

„ვისმუტი" (გდრ) — „ვალიური" (ისლანდია) 0:0.

„ბევერენი" (ბელგია) — „ბოჰემიანსი" (ჩეხოსლოვაკია) 2:0.

„ბორუსია" (მიონჰენგლადბახი, გფრ) — „ესპანიოლი" (ესპანეთი) 0:1.

„ფეიენოორდი" (ჰოლანდია) — „სპორა" (ლუქსემბურგი) 5:0.

„ტატაბანია" (უნგრეთი) — „გიმარაეში" (პორტუგალია) 1:1.

„სელტიკი" (შოტლანდია) — „ბორუსია" (დორტმუნდი, გფრ) 2:1.

„პოგონი" (პოლონეთი) — „ვერონა" (იტალია) 1:1.

„ჰონვედი" (უნგრეთი) — „ლოკერენი" (ბელგია) 1:0.

„კოლრეინი" (ჩრ. ირლანდია) — „დანდი იუნაიტედი" (შოტლანდია) 0:1.

„ვიტკოვიცე" (ჩეხოსლოვაკია) — აიკ (შვეცია) 1:1.

„ტურუნ პალოსეურა" (ფინეთი) — „ადმირა-ვაკერი" (ავსტრია) 0:1.

„ბრიონდბიუ" (დანია) — „გიოტებორგი" (შვეცია) 2:1.

„მიონდალენი" (ნორვეგია) — „ვერდერი" (გფრ) 0:5.

ეპა (კიპროსი) — „ვიქტორია" (რუმინეთი) 0:1.

„ფლიამურტარი" (ალბანეთი) — „პარტიზანი" (იუგოსლავია) 2:0.

„ხიხონი" (ესპანეთი) — „მილანი" (იტალია) 1:0.

„ვალეტა" (მალტა) — „იუვენტუსი" (იტალია) 0:4.

„უნივერსიტატია" (რუმინეთი) — „შავიში" (პორტუგალია) 3:2.

„ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) — „თრაკია" (ბულგარეთი) 3:0.

„ტულუზა" (საფრანგეთი) — „პანიონიოსი" (საბერძნეთი) 5:1.

„ველეჟი" (იუგოსლავია) — „სიონი" (შვეიცარია) 5:0.

„აუსტრია" (ვენა, ავსტრია) — „ბაიერი" (ლევერკუზენი, გფრ) 0:0.

„ბეშიქთაში" (თურქეთი) — „ინტერი" (იტალია) 0:0.

## I ლიგა

**17 სექტემბერს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 34-ე ტურის შეხვედრები.**

ლიგის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი მოსკოვში ადგილობრივ „ლოკომოტივსა" და რიგის „დაუგავას" შორის დამთავრდა რკინიგზელთა გამარჯვებით — 3:1. ასეთივე ანგარიშით ოდესის „ჩერნომორეცმა" ტიუმენში დაამარცხა „გეოლოგი".

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) 1:2, „კუზბასი" (კემეროვო) — „შინიკი" (იაროსლავლი) 2:0. „პამირი" (დუშანბე) — „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) 1:0, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „დინამო" (სტავროპოლი) — 2:1, ასკ (დონის როსტოვი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 5:2, „ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) 1:1, „კოტაიკი" (აბოვიანი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 2:1, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ფაკელი" (ვორონეჟი) 0:0.

საქართველოს გუნდები 35-ე ტურის მატჩებს ჩაატარებენ მეტოქეთა მინდვრებზე. ქუთაისის „ტორპედო" ვორონეჟში შეხვდება „ფაკელს", ხოლო ბათუმის „დინამო" ვოლგოგრადის „როტორს".

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 18 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომ." | 32 | 21 | 10 | 1 | 57-21 | 52 |
| „ლოკომ." | 33 | 19 | 11 | 3 | 49-21 | 49 |
| „დაუგავა" | 31 | 16 | 10 | 5 | 51-25 | 42 |
| „პამირი" | 33 | 15 | 7 | 11 | 45-35 | 37 |
| „ფახთაქ." | 33 | 13 | 10 | 10 | 39-34 | 36 |
| „კუზბასი" | 33 | 12 | 12 | 9 | 31-22 | 36 |
| „როსტსელ." | 32 | 12 | 11 | 9 | 40-37 | 35 |
| „კოლოსი" | 33 | 14 | 6 | 13 | 47-50 | 34 |
| ასკ „კარპ." | 32 | 12 | 9 | 11 | 45-34 | 33 |
| „გეოლოგი" | 33 | 12 | 6 | 15 | 34-43 | 30 |
| „ზარია" | 32 | 9 | 12 | 11 | 30-45 | 30 |
| „მეტალურ." | 32 | 10 | 9 | 13 | 42-42 | 29 |
| „დინ." ბ. | 32 | 10 | 9 | 13 | 28-29 | 29 |
| „დინ." სტ. | 32 | 9 | 11 | 12 | 33-43 | 29 |
| „შინიკი" | 32 | 11 | 6 | 15 | 20-34 | 28 |
| „სპარტაკი" | 32 | 9 | 10 | 13 | 23-29 | 28 |
| ასკ რ. | 32 | 12 | 3 | 17 | 29-43 | 27 |
| „კოტაიკი" | 32 | 11 | 5 | 16 | 38-46 | 27 |
| „როტორი" | 33 | 10 | 7 | 16 | 36-44 | 27 |
| „კრ. სოვეტ." | 33 | 8 | 10 | 15 | 27-40 | 26 |
| „ტორპ." ქ. | 32 | 7 | 10 | 15 | 21-40 | 24 |
| „ფაკელი" | 33 | 6 | 12 | 15 | 25-33 | 24 |

## საქართველოს პირველობა

**გთავაზობთ რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის II ჯგუფის გუნდების 24-ე ტურის შეხვედრათა შედეგებს:**

**I ქვეჯგუფი.** „ბახტრიონი" (ახმეტა)— „შირაქი" (წითელი წყარო) 2:1, „მშენებელი" (რუსთავი) — „თუშეთი" (ქვემო ალვანი) 1:1, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 3:0, „სამგორი" (გარდაბანი) — „ქიზიყი" (სიღნაღი) 4:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „მიონი"-35 (თბილისი) 1:1, სასწავლო-საცდელი მეურნეობა (მუხრანი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 2:1, „ვარდისუბანი" (ლაგოდეხის რ-ნი) — „სინათლე"-„ინტერნატი" (თბილისი) 5:0, „მეტალისტი" (რუსთავი) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 3:2, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „სინათლე"-„ინტერნატი" (თბილისი) 3:1.

**II ქვეჯგუფი.** „გარისი" (თეთრი წყარო) — „თრიალეთი" (წალკა) 3:1, „განთიადი" (დმანისი) — „მესხეთი" (ახალციხე) 2:3, „ავტომობილისტი" (გორი) — „მეფრინველე" (კასპი) 2:0, „არაგვი" (დუშეთი) — „ალგეთი" (მარნეული) 1:0, „მარაბდა" (კოდა) — „აბული" (ახალქალაქი) 2:3, „კოლმეურნე" (მარნეული) — „ზარზმა" (ადიგენი) 5:3, „ლიახვი" (ცხინვალის რ-ნი) — „ვარძია" (ასპინძა) 1:2, „ბაგიათი" (ჯავა) — „ფარვანა" (ბოგდანოვკა) 1:4.

**III ქვეჯგუფი.** „ხვამლი" (ცაგერი) — „ქიმიკოსი" (ამბროლაური) 2:4, „ჩიხურა" (საჩხერე) — „ორპირი" (ტყიბულის რ-ნი) 0:1, „იბერია" (ქარელი) — „იმერეთი" (წულუკიძე) 1:1, „ზანა" (აბაშა) — „ჩხერიმელა" (ორჯონიკიძე) 1:1, ხდკ (სამტრედია) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 4:2, „მეშაქრე" (აგარა) — „ცენტრმეტალურგმშენი" (ზესტაფონი) 2:2.

**IV ქვეჯგუფი.** „განთიადი" (ცხაკაია) — „სუბტროპიკი" (სოხუმი) 0:1, „განთიადი" (გაგრა) — „ჩიბათი" (ლანჩხუთი) 3:1, „კოლხეთი"-2 (ფოთი) — „დინამო"-2 (ბათუმი) — 6:2, „დვაბზუ" (მახარაძე) — „დარჩელი" (ზუგდიდის რ-ნი) 2:0, „ნარინჯი" (ქობულეთი) — „ავტომობილისტი" (ბათუმი) 7:0.

# რესპუბლიკურ ფედერაციაში

## დისციპლინის დამრღვევნი დაისაჯნენ

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ახსომებათ, თუ რა უწესრიგობანი მოხდა რუსთავის სტადიონზე II ლიგის IX ზონის საკავშირო გათამაშების კალენდარულ მატჩში რუსთავის „მეტალურგსა" და თბილისის „შევარდენი"-სპი-ს შორის. რუსთაველმა ფეხბურთელებმა უხეშად დაარღვიეს დისციპლინა, უწესრიგოდ მოიქცა გუნდის ზოგიერთი ხელმძღვანელიც და ყველაფერი ეს მოხდა ჯერ უშუალოდ თამაშის დროს, მაყურებელთა თვალწინ, შემდეგ კი სამსაჯო ოთახშიც.

ამაზე იმსჯელა საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ, რომელმაც მკაცრი სასჯელები გამოუტანა დისციპლინის დამრღვევთ.

აღნიშნულ მატჩში სისტემატური ხულიგნური გამოხდომებისათვის გუნდის შემადგენლობიდან გაირიცხა ფეხბურთელი დ. სანიკიძე, რომელიც დისკვალიფიცირებულია ერთი წლით.

ხ. ქასრაშვილი გადააყენეს კაპიტნობიდან, იგი პირობითად დისკვალიფიცირებულია ერთი წლით.

მსაჯთან სისტემატური კამათისთვის „მეტალურგის" ფეხბურთელი ა. კულუმბეგოვი პირობითად დისკვალიფიცირებულია 1987 წლის ბოლომდე.

რუსთავის „მეტალურგის" გუნდის უფროსს დ. შუბითიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, ხოლო გუნდის უფროს მწვრთნელს თ. კონიაშვილს — შენიშვნა. „მეტალურგის" ოსტატთა გუნდის ხელმძღვანელობა გააფრთხილეს, რათა უახლოეს პერიოდში ქმედითი ზომები, ღონისძიებანი გაატაროს კოლექტივში წესრიგის დასამყარებლად.

სპორტტექნიკური კომისიის გადაწყვეტილება გადაეგზავნება რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს და საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოს.

მატჩის არბიტრის ს. კვარაცხელიას (ზუგდიდი) საკითხი განსახილველად გადაეცა ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმს.

# პატარა სასწაული

## ანუ საქმე, რომელიც კარგად დაიწყო

**გასაკვირი** თითქოს არაფერია: ბაზა უნდა აშენებულიყო და აშენდა კიდეც. ფოთში, მალთაყვის ტყე-პარკის მიდამოებში, „ოქროს ტბის" ნაპირზე. დიახ, მშვენიერ სპორტულ ნაგებობათა კომპლექს „აიაზე" მოგახსენებთ. ისინი, ვინც ამ კომპლექსის აშენება დაისახა მიზნად და ვისაც ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაგრის წყალმოთხილამურეთა ჯილდოებით გამდიდრება სურდა, თავიდანვე კარგად მოფიქრებული გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ, იცოდნენ, როდის რა უნდა გაეკეთებინათ და როგორ, მაგრამ ბევრს ალბათ აეჭვებდა, რომ ჩვენი რესპუბლიკის წყალსათხილამურო სპორტის მესვეურნი და ქომაგნი ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებდნენ. ეს ეჭვი უსაფუძვლო არ ყოფილა. გავიხსენოთ, რამდენი კარგი წამოწყება მიგვიტოვებია შუა გზაზე, ენთუზიასტების მონდომების მიუხედავად, რამდენი კარგი ჩანაფიქრის განხორციელება გაჭიანურებულა და გაჯანჯლებულა. ჩვენდა გასახარად, ამჯერად ასე არ მოხდა. ამიტომ არის, რომ ყველას, შინაურსაც და უცხოსაც, აკვირვებს და აღაფრთოვანებს ტყე-პარკის იდილიურ გარემოს ასე ბუნებრივად შერწყმული ეს საუცხოო სპორტული კომპლექსი, რომელიც ჩვენი ქვეყნის წყალსათხილამურო სპორტის ცნობილი სპეციალისტების აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში.

არადა, ოთხიოდე წლის წინათ აქ ისეთი ჭაობი იყო, ნაბიჯს ვერ გადადგამდი, ფეხებზე სულ წურბელები გეკვროდნენო, — გვითხრა ერთმა დროულმა ფოთელმა. და აი, ამ ნაჭაობარზე ახლახან ჩატარდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება წყალსათხილამურო სპორტში. ასეთი რანგის შეჯიბრების მასპინძლობა, რა თქმა უნდა, ნებისმიერი ბაზისათვის დიდი პატივია, მაგრამ მთავარი მარტო ეს როდია. უნდა გენახათ, რა გახარებული იყვნენ სტუმრები: „დიახ, ამხანაგებო, ეს ადგილი წყალმოთხილამურეებისთვის ნამდვილი სამოთხეა!" — წამოიძახა ერთმა ჩრდილოელმა სტუმარმა, რომელიც ბაზაზე ფეხის შედგმისთანავე პირდაპირ წყალში გადაეშვა საბანაოდ და იქიდან მიესალმა დამხვდურებს. „ყველაფერი ნათელია. ჩვენს ქვეყანაში ეს ერთადერთი ადგილია, სადაც მთელი წლის განმავლობაში შეიძლება ვარჯიში, ჩვენთან კი..." სინანული გაერია ხმაში მეორეს. ეს კაცი პირველად იყო ამ ბაზაზე და ის „აღმოაჩინა", რაც ყველასათვის, პირველ ყოვლისა კი ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელებისათვის დიდი ხანია ცნობილია. ჩვენი საუკეთესო წყალმოთხილამურეები აქ უკვე ხშირად იკრიბებიან. ამ თვის ბოლოსაც, წყალმოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე ისინი კვლავ ფოთს ეწვევიან. მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად გამზადებულ საკავშირო ნაკრების წევრებს თასის გათამაშებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ შეჯიბრება მაინც ძალზე საინტერესოდ, დაძაბულად წარიმართა. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებიც ბლომად იყვნენ და გამოცდილი „სატურნირო" მებრძოლებიც. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ სლალომისტთა შეჯიბრების სამმა მონაწილემ 11 მეტრამდე დაამოკლა საბუქსირო ბაგირი. ასეთი რამ წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატშიც არ მომხდარა, სადაც ყველა უძლიერესი მოთხილამურე მონაწილეობდა. ერთი სიტყვით, უკეთეს სანახაობას ვერ ინატრებდა კაცი, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის წყალსათხილამურო სპორტის ხელმძღვანელების, ნაკრები გუნდის მწვრთნელებისა და ყველა ქართველი გულშემატკივრის გულისყური მაინც ხათუნა კორკელიასა და გენადი პეტრუხინის გამოსვლისკენ იყო მიპყრობილი: შეძლებდნენ თუ არა ისინი სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებას? მღელვარებამ კულმინაციას ფიგურულ სრიალში გამართული ფინალური შეჯიბრების დროს მიაღწია. წარმატებას სწორედ ამ სახეობაში ველოდით, რადგან ტრამპლინზე ხტომასა და სლალომში სპორტსმენები, ჩვეულებრივ, გვიან ოსტატდებიან — ვიდრე მოზარდი სპორტსმენის ორგანიზმის ზრდა არ დასრულდება, ვიდრე იგი არ მომწიფდება, ამ რთულ, ძალისმიერ სახეობებში ოსტატის ნორმატივის შესრულება ძალიან ძნელია. ხათუნა და გენადი კი, მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ სკოლის მერხს უსხედან, ასე რომ, სწორად მოიქცა საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი, ბელორუსიის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, წარსულში ქვეყნის ჩემპიონი და რეკორდსმენი სწორედ ამ სახეობაში ვიქტორ მელნიკი, როცა თასის გათამაშებისთვის მათი მომზადებისას ყურადღება ფიგურულ სრიალზე გაამახვილა. ხათუნა კორკელიამ ძალზე მსუბუქად, დაუძაბავად და მოხდენილად შეასრულა ფიგურები, მეოთხე ადგილი დაიკავა (იგი მხოლოდ გამოცდილ, ცნობილ ბელორუსიელ სპორტსმენებს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს ოლგა პავლოვას, იულია გრომიკოსა და სვეტლანა კობიალკოს ჩამორჩა) და ამ სახეობაში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. საქართველოს პროფსაბჭოს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური წყალსათხილამურო სპორტული სკოლის მოწაფეთაგან ხათუნა პირველი „ეკურთხა" ოსტატად და მერე გენადი პეტრუხინის ჯერიც დადგა. მან ზუსტად, დამაჯერებლად შეასრულა ვარჯიში და, როცა სამსაჯო კოშკს გაუსწორდა, როცა მისთვის განკუთვნილი დრო იწურებოდა, ყველასათვის მოულოდნელად, უზადოდ შეასრულა ურთულესი სალტო. ამას არავინ ელოდა. ფოთელი მოსწავლე სამად სამი წელია წყალსათხილამურო სპორტს მისდევს და აბა, ვინ იფიქრებდა, რომ იგი გაბედავდა იმ ილეთის შესრულებას, რომელსაც ჩვენმა აღიარებულმა, ტიტულოვანმა სპორტსმენებმა მხოლოდ შარშან „შებედეს". საბჭოთა კავშირში რამდენიმე სპორტსმენი თუ ასრულებს მნიშვნელოვან შეჯიბრებებში ამ ილეთს. ალბათ ამიტომ იყო, რომ პეტრუხინს ვერავინ აუბა მხარი. ამგვარად, საკავშირო თასის წლევანდელ გათამაშებაში მხოლოდ მან შეასრულა სალტო და მაყურებელთა, მეტოქეთა და მსაჯების ტაში დაიმსახურა. დიახ, იმ დღეს მკვიდრმა, „ასპროცენტიანმა ფოთელმა" გენადი პეტრუხინმა ჩვენი რესპუბლიკის წყალმოთხილამურეთაგან პირველმა შეასრულა სალტო და სპორტის ოსტატი გახდა. ორი სპორტის ოსტატი სამ წელიწადში! ვინც წყალსათხილამურო სპორტში ერკვევა, იმან იცის, რომ ეს შედეგი ჩვენი ქვეყნის საუკეთესო წყალსათხილამურო ცენტრების „მარგი ქმედების კოეფიციენტს" უტოლდება. არადა, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ — ყველაფერი ნულიდან დაიწყო. თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, ესე იგი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოკლე ხანში ნაჭაობარზე თითით საჩვენებელი ბაზა აშენდა (რომლის მშენებლობა, გაფართოება და კეთილმოწყობა ჯერ კიდევ გრძელდება), რომ იმ ბავშვებს, რომლებსაც სამი წლის წინათ წყლის თხილამურები თვალითაც არ ენახათ, მალე სპორტის ოსტატის წოდებას მიანიჭებენ, შეგვიძლია დავასკვნათ: ფოთში, ამ „ერთ პატარა ქალაქში", „პატარა სასწაული" მოხდა.

შეჯიბრების მონაწილეებმა ერთხმად აღიარეს, რომ ფოთში ნამდვილი წყალსათხილამურო ზეიმი მოეწყო. ისიც ითქვა, რომ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები ყოველთვის სიამოვნებით ჩამოვლენ აქ სასპარეზოდ. ამიტომ მოსაყოლი და სათქმელი კიდევ ბევრი დაგვრჩა. მაგრამ საქართველოს წყალმოთხილამურეთა წარმატებით გახარებულებმა და გულმოცემულებმა ახლა ხვალინდელ დღეზეც ვიფიქროთ — იმისათვის, რომ სპორტის ეს სახეობა „წელში გაიმართოს", გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ოქტომბერში ფოთში ჩატარდება ამ სახეობის წარმომადგენელთა რესპუბლიკური შეჯიბრებები, ვნახავთ, რა გვიჭირს, რა გვილხინს და გულდინჯი საუბრის ჯერიც მაშინ დადგება. კარგად დაწყებული საქმე კარგადვე უნდა გაგრძელდეს.



სურათზე: ქალაქის მსხვილი სამრეწველო საწარმოების დახმარება რომ არა, ფოთელ წყალმოთხილამურეებს არც ასეთი ბაზა და სავარჯიშო პირობები ექნებოდათ, ვერც ასეთ შედეგებს მიაღწევდნენ. ეს სურათი, რომელზეც საქართველოს ნაკრების წევრები ხათუნა კორკელია, ზურაბ ივანოვი და გენადი პეტრუხინი არიან აღბეჭდილი (მათი უფროსი თანაგუნდელი გიორგი სურგულაძე ამ დროს მისაღებ გამოცდებს აბარებდა), წყალმოთხილამურეთა საკავშირო თასის გათამაშების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრეა გადაღებული, იმ დღეს, როცა ფოთელმა სპორტსმენებმა ძვირფასი საჩუქარი მიიღეს. ქალაქის საოკეანო თევზჭერის სამმართველომ მათთვის მძლავრი, ახალი მოდელის ამერიკული კატარღა „მასტერ-კრაფტი" შეიძინა. კატარღის საჭეს აიელების თავკაცი, ბაზის დირექტორი თამაზ ლაგვილავა უზის.

### ტექნიკური შედეგები

**მრავალჭიდი. გოგონები.** 1. ო. პავლოვა (მინსკი), 2. ი. გრომიკო (მინსკი), 3. ს. კობიალკო (მინსკი). 4. ხ. კორკელია (ფოთი). **ვაჟები.** 1. ი. ლიხაჩოვი (დუბნა), 2. ვ. დურნოვი (ნოვოპოლოცკი), 3. ო. ნადინი (მინსკი) ...6. გ. პეტრუხინი (ფოთი) ...13. გ. სურგულაძე (ფოთი). **სლალომი. გოგონები.** 1. ო. პავლოვა, 2. ი. გრომიკო, 3. დ. კოკინა (პრეილი) ...5. ხ. კორკელია. **ვაჟები.** 1. ბ. ლიხაჩოვი (ანდროპოვი), 2-3. ი. ლიხაჩოვი, — ი. ბუკსი (პრეილი) ...16. გ. პეტრუხინი ...20. გ. სურგულაძე **ფიგურული სრიალი. გოგონები.** 1. ო. პავლოვა, 2. ი. გრომიკო, 3. ს. კობიალკო, 4. ხ. კორკელია. **ვაჟები.** 1. ო. ნადინი, 2. ი. ლიხაჩოვი, 3. ა. ალენტიევი (მოსკოვი) ...5. გ. პეტრუხინი ...14 გ. სურგულაძე. **ტრამპლინიდან ხტომა. გოგონები.** 1. ს. კობიალკო, 2. ო. პავლოვა, 3. ი. გრომიკო ...5. ხ. კორკელია. **ვაჟები.** 1. ა. ალენტიევი, 2. ვ. ბოხანი (მინსკი), 3. ა. მიხაილიჩენკო (დნეპროპეტროვსკი) ...11. გ. პეტრუხინი ...13. გ. სურგულაძე.

**თამაზ მიგრიაული.**
(„ლელოს" სპეც. კორ.).
**რამინ ლვამიჩავას ფოტოები.**

## ოთხი გამარჯვებული

**იურმალაში** დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი — „იურმალა-87". 13-13 შესაძლებლიდან 7,5-7,5 ქულით I-IV ადგილები გაიყვეს მიხეილ ტალმა, აივარ გიპსლისმა, ლევ პსახისმა და იური რაზუვაევმა. უცხოელი მოჭადრაკეებიდან საუკეთესო შედეგი ჰქონდათ ჩეხოსლოვაკიელ იოჟეფ პრიბილსა და ისლანდიელ ჯონ არნასონს. მათ 7-7 ქულა მოაგროვეს და V-VIII ადგილები გაიყვეს ოლეგ რომანიშინთან და ვლადიმერ ბაგიროვთან ერთად.

## დიდი საერთაშორისო

**ჰოლანდიის** ქალაქ ტილბურგში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილე ანდრეი სოკოლოვი, დიდოსტატები არტურ იუსუპოვი, ლიუბომირ ლიუბოევიჩი, პრედრაგ ნიკოლიჩი (ორივე — იუგოსლავია), ულფ ანდერსონი (შვეცია), რობერტ ჰიუბნერი (გფრ), იან ტიმანი (ჰოლანდია), ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია).

I ტურში იუსუპოვმა მოუგო ლიუბოევიჩს, დაზავდნენ ანდერსონ-სოკოლოვი და ჰიუბნერ-ტიმანი; ნიკოლიჩ-კორჩნოის პარტია გადაიდო.

II ტურში იუსუპოვი უკვე მე-17 სვლაზე დაუზავდა ნიკოლიჩს. ამავე შედეგით დამთავრდა სოკოლოვ-ჰიუბნერისა და ლიუბოევიჩ-ტიმანის შეხვედრები. კვლავ გადადო თავისი პარტია კორჩნოიმ, ამჯერად ანდერსონთან ორთაბრძოლაში.

ამრიგად, ორი ტურის შემდეგ 1,5 ქულით დაწინაურდა არტურ იუსუპოვი. ჰიუბნერს, სოკოლოვსა და ტიმანს თითო ქულა აქვთ, ანდერსონსა და ნიკოლიჩს — 0,5-0,5 (1-1), ლიუბოევიჩს — 0,5. კორჩნოის — 0 (2).

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 19 სექტემბერი.** დილის ტანვარჯიში— **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში— **9.55 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი სპიდვეიში (გადაცემა ჩეხოსლოვაკიიდან) — **10.25 (2);** საკონტინენტთაშორისო თასი კალათბურთში: „ციბონა" (იუგოსლავია) — „ჟალგირისი" (კაუნასი) — **12.35 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში (გადაცემა ბულგარეთიდან) — **17.10 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 19 სექტემბერი.** სპორტული პროგრამა: „45 წუთი" — **17.50.**

**რედაქტორის მოადგილე**
**უ. ჭიჭინაძე.**

## სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 19 სექტემბერი. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ). დასაწყისი 14 ს. 30 წთ., 20 სექტემბერი. ოქროყანის სპორტული ბაზა. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ხალხინო" (გეგეჭკორი). 12 ს., აკ-ს სტადიონი. „იმედი"-„დინამო"-2 (თბილისი) — „ქართლი" (გორის რ-ნი). 17 ს.

**რეგბი.** საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. 19 სექტემბერი. „სინათლის" სტადიონი, „შევარდენი" (თბილისი)— „ლოკომოტივი" (მოსკოვი). დასაწყისი 18 ს. 30 წთ.

### „სპორტპროგნოზი" 39-ე ტირაჟი (26-27 სექტემბერი)

**სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)**

| | | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | „როსტსელმაში" (როსტოვი) — ასკ (როსტოვი) | 26.IX | 60 | 20 | 20 |
| 2. | „დინამო" (სტავროპოლი) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 26.IX | 40 | 20 | 40 |
| 3. | „შინიკი" (იაროსლავლი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 26.IX | 60 | 20 | 20 |
| 4. | ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 26.IX | 60 | 10 | 30 |
| 5. | „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „გეოლოგი" (ტიუმენი) | 26.IX | 40 | 40 | 20 |
| 6. | „ფაკელი" (ვორონეჟი) — „დინამო" (ბათუმი) | 26.IX | 80 | 10 | 10 |
| 7. | „როტორი" (ვოლგოგრადი) — „ტორპედო" (ქუთაისი) | 26.IX | 70 | 20 | 10 |
| 8. | „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „კოტაიკი" (აბოვიანი) | 26.IX | 60 | 20 | 20 |
| | **სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა შორის (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 9. | ცსკა — „დინამო" (თბილისი) ქ. თბილისი | 26.IX | 50 | 20 | 30 |
| 10. | ვეფ-ი (რიგა) — „სტატიბა" (ვილნიუსი) ქ. მინსკი | 26.IX | 40 | 20 | 40 |
| | **სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 11. | „იჟსტალი" (იჟევსკი) — „ტორპედო" (იაროსლავლი) | 27.IX | 60 | 20 | 20 |
| 12. | „ავტომობილისტი" (სვერდლოვსკი) — „დინამო" (რიგა) | 27.IX | 30 | 10 | 60 |
| 13. | „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი) — ასკ (ლენინგრადი) | 27.IX | 50 | 20 | 30 |

შენიშვნა: კალათბურთში მხედველობაში მიიღება თამაშის ძირითად დროში ნაჩვენები შედეგი.



## თბილისის სპორტის სასახლე

### 24-26 სექტემბერი

**უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 55-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე, პირველი ტური.**

მონაწილეობენ: ცსკა, „დინამო" (მოსკოვი), „შახტიორი" (დონეცკი), „დინამო" (თბილისი).

დასაწყისი ყოველდღე 18.00.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07984